



25.10.2018

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

მესამე სამუშაო ჯგუფის
სხდომის ოქმი №3

1. მესამე სამუშაო ჯგუფის შეხვედრას ესწრებოდნენ

სახელი, გვარი	ორგანიზაცია
ირმა გელაშვილი	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
ირაკლი შენგელია	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
სერგო მეთოფიშვილი	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
ვასილ მშვენიერაძე	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
ილია დევიძე	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
თინათინ აბრალავა	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
თამარ პაპაშვილი	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
ვახტანგ გარდაფხაძე	სსიპ - „საერთო სასამართლოების დეპარტამენტი“
ანიკო ფარჯიანი	სსიპ - „იუსტიციის უმაღლესი სკოლა“
თამარ თომაშვილი	ევროპის კავშირი
მარიამ მაჭარაშვილი	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
ნინო მდინარაძე	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო
ნინო დემურხანაშვილი	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

2. შეხვედრაზე განსახილველი საკითხები

- 2017-2021 წლების სასამართლო სისტემის სტრატეგიისა და მისი იმპლემენტაციის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების მდგომარეობა.

3. მესამე სამუშაო ჯგუფის შეხვედრის მიმოხილვა

2018 წლის 25 ოქტომბრის მესამე სამუშაო ჯგუფის სხდომაზე მონაწილეობის მისაღებად გამოცხადდა ჯგუფის 10 წევრი: ირმა გელაშვილი, ირაკლი შენგელია, სერგო მეთოფიშვილი, ვასილ მშვენიერაძე, ილია დევიძე, თინათინ აბრალავა, თამარ პაპაშვილი, ვახტანგ გარდაფხაძე, ანიკო ფარჯიანი და მარიამ მაჭარაშვილი. კვორუმი შედგა, კენჭისყრის შედეგად ჯგუფის დამსწრე წევრთა სრულმა უმრავლესობამ სხდომაში მონაწილეობის მისაღებად მოიწვია ევროპის კავშირის წარმომადგენელი.

ჯგუფის წევრებმა იმსჯელეს დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხზე.

4. მესამე სამუშაო ჯგუფი შეთანხმდა შემდეგ ზე

მესამე სამუშაო ჯგუფის სხდომაზე ყურადღება გამახვილდა 2017-2021 წლების სასამართლო სისტემის სტრატეგიის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ შესრულებულ და ნაწილობრივ შესრულებულ აქტივობებზე. კერძოდ: სადამოს სწავლებისა ან/და სხვა ალტერნატიული სწავლების პროგრამის მიზანშეწონილობის დადგენა;¹ მოსამართლეობის კანდიდატთა სარეზერვო სიის შექმნა;² დასაქმების ფორუმებზე სასამართლოს სისტემის მონაწილეობა;³ სტაჟირების ინსტიტუტის განვითარება;⁴ რეგიონებიდან მსმენელთა მოზიდვის მიზნით დისტანციური სწავლების განვითარება⁵ და მოსამართლეთა შემდგომ განვითარებაზე ორიენტირებული პერიოდული შეფასების სისტემის დანერგვა⁶.

ჯგუფის წევრებმა აღნიშნული აქტივობების მიხედვით დაგეგმეს სამომავლოდ შესასრულებელი სამუშაოები.

¹ პროგრამა 3.1.1-ის მესამეაქტივობა.

² პროგრამა 3.1.1-ის მეოთხე აქტივობა.

³ პროგრამა 3.1.2-ის მესამე აქტივობა.

⁴ პროგრამა 3.1.2-ის მეოთხე აქტივობა.

⁵ პროგრამა 3.2.2-ის მეოთხე აქტივობა.

⁶ პროგრამა 3.3.1.

5. თანდართული დოკუმენტები

- შესაბამისად ჯგუფის 2018 წლის 25 ოქტომბრის შეხვედრის დღის წესრიგი.

თანამოსხენებელი:  ირაკლი მენგელაშვილი

ირაკლი მენგელაშვილი

სხდომის მდივანი:  ნინო ჯგერაცაშვილი

ნინო ჯგერაცაშვილი

III სამუშაო ჯგუფის შეხვედრის დღის წესრიგი

შეხვედრის
ადგილი: საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

თარიღი: 25 ოქტომბერი, 2018

დრო: 15:00 საათი

განსახილველი საკითხი:

- 2017-2021 წლების სასამართლო სისტემის სტრატეგიისა და მისი იმპლემენტაციის 2017-2018 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების მდგომარეობა.